

## უდაბნოს განუმეორებელი ლანდშაფტი

### მანანა სეხნიაშვილი

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ უდაბნოს ლანდშაფტი ძალიან მომწონს. მიუხედავად იმისა, რომ ის შედარებით მწირი ფლორითა და ფაუნით გამოირჩევა, მაინც მხიბლავს საჰარის ქვიშიანი და არქტიკის ყინულოვანი უდაბნოები, თოვლით დაფარული გობი, ატაკამისა და პატაგონიის პეიზაჟები ხომ განუმეორებელია...

უდაბნოს ლანდშაფტის ტიპს, არიდულ ან ნახევრად არიდულ ტერიტორიას, დედამიწის ხმელეთის დაახლოებით 1/3 უჭირავს. აქვე უნდა ვახსენოთ ანტარქტიკული და არქტიკული უდაბნოებიც, რომლებსაც „ცივ უდაბნოებს“ უწოდებენ. მთლიანად უდაბნოებს 11% (16,5 მლნ კმ<sup>2</sup>) უკავია, ცივ უდაბნოებთან ერთად კი - 20%.

უდაბნოები ზომიერი კლიმატური სარტყლიდან ტროპიკულის ჩათვლით ვრცელდება. მათთვის დამახასიათებელია ნალექების მინიმალური რაოდენობა, ტემპერატურის მაღალი ამპლიტუდა და ფლორისა და ფაუნის სიმწირე.

განასხვავებენ უდაბნოს შემდეგ სახეობებს: ქვიშიანს, კენჭნარსა და ქვიშნარ-კენჭიანს, ქვიანს, თიხნარს, ლიოსურს, თიხიან-თაყირულს, თიხიან-ბედლენდურს და მლაშობს.

ყველაზე დიდი უდაბნო, საჰარა, ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარეობს. მისი ფართობი 9 მლნ. კმ<sup>2</sup> -ია და აფრიკის 10 სახელმწიფოს – ალჟირის, ეგვიპტის, დასავლეთ საჰარის, ლიბიის, მავრიტანიის, მალის, მაროკოს, ნიგერის, სუდანის, ტუნისისა და ჩადის – ტერიტორიაზეა გადაჭიმული. საჰარის ასაკი 2,5 მილიონი წელია. ზაფხულში იქ ტემპერატურა +40° – +50°-ს აღწევს. წლიური ნალექის ოდენობა მხოლოდ 100 მმ-ია. ზოგან წვიმა წლობით არ მოდის. ტემპერატურის ამპლიტუდა მაღალი გრადაციით გამოირჩევა.

ოდესღაც საჰარა სავანებითა და ტყეებით იყო დაფარული. გაუდაბნოების პროცესი დღესაც გრძელდება, რაც მისი ფართობის ზრდას იწვევს. საჰარის ტერიტორია ორ კლიმატურ სარტყელს მოიცავს: ჩრდილოეთით – სუბტროპიკულს და სამხრეთით - ტროპიკულს. შიდა რაიონებში შესაძლოა რამდენიმე წლის განმავლობაშიც არ მოვიდეს ნალექი, ჩრდილოეთ ნაწილში, მთიანი აპკარისა და ტიბესტის რეგიონებში კი ყოველ წელს თოვს.

საჰარაში ორი მუდმივი მდინარე მიედინება: ნილოსი და ნიგერი. მდინარეთა უმრავლესობა სეზონურია (ვადები) და უმთავრესად ნალექებით იკვებება. მსხვილი ვადების ქსელებს ქმნის მდინარე დრა, საურა, ზიზი, იგარგარი და სხვა.



### *საჰარის ცენტრალური ნაწილი*

ყველაზე პატარა კარკროსის უდაბნო კანადის ტერიტორიაზე მდებარეობს. მისი დიამეტრი მხოლოდ 2,6 კილომეტრია. კარკროსის უდაბნოში ქვიშიანი დიუნები მყინვარების ფონზე განუმეორებელ ლანდაშაფტს ქმნის. იუკონის მთავრობას კარკროსის უდაბნოს ნაკრძალად გამოცხადება სურდა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია, რადგან ტერიტორიას ზაფხულობით რეკრეაციული მიზნით (პიკნიკებისთვის) იყენებენ, ზამთარში კი სათხილამუროდ და სნოუბორდისთვის. მეტად პოპულარულია თეთრი უღელტეხილისა და კარკროსის ტურისტული მარშუტი.



*უდაბნო კარკროსი*

უდაბნო ატაკამა მსოფლიოში ყველაზე მშრალი ადგილია. ნალექის ოდენობა აქ წელიწადში 50 მმ-ზე ნაკლებია. უდაბნო ჩილეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და 105 000 კმ<sup>2</sup>-ს იკავებს. ის უმთავრესად მარილის საბადოებისგან, ქვიშისა და ვულკანური ქანებისგან შედგება. ატაკამის უდაბნო, ფაქტობრივად, სტერილურია, რადგან ტენისგან ორივე მხრიდანაა ბლოკირებული: აღმოსავლეთიდან – ანდეზით, ხოლო დასავლეთიდან – ჩილეს სანაპირო მთათა სისტემით. სანაპირო რეგიონის ჰაერის ინვერსია, რომელსაც პერუს ცივი დინება და წყნაროკეანური ანტიციკლონი წარმოქმნის, ატაკამის უდაბნოს ასეთი სიმშრალის უმთავრესი მიზეზია. 1570 წლიდან 1971 წლამდე უდაბნოში წვიმა არ მოსულა, თუმცა 2010 წელს ატაკამის ტერიტორიაზე მოთოვა, რამაც დროებით შეაჩერა მუშაობა ერთ-ერთ უდიდეს ობსერვატორიაში, შეაფერხა ელექტრომომარაგება და კავშირგაბმულობა.

ატაკამის უდაბნოში 1992 წელს 11 მეტრი სიმაღლის გიგანტური ხელი აღიმართა. მისი ავტორი ჩილელი არქიტექტორი მარიო ირაზაბალი იყო. ქანდაკების ფუნდამენტი რკინისა და ცემენტისგან შედგება. რისი თქმა სურდა არქიტექტორს ამ ქანდაკებით, დღემდე უცნობია. უახლოესი ქალაქი 75 კილომეტრზე მდებარეობს.



*ხელის ქანდაკება უდაბნო ატაკამაში*

გობი, აზიის უდიდესი უდაბნო, ყველაზე ცივ ადგილად არის მიჩნეული. ზამთარში ტემპერატურა  $-40^{\circ}$ -მდე ეცემა, თოვლი და ყინული ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, ზაფხულში კი  $+40^{\circ}$ -ზე მეტია. ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება მხოლოდ სეზონური არ არის – მისი ამპლიტუდა დღე-ღამის განმავლობაშიც მაღალია.

გობის უდაბნო იმითაცაა უცნაური, რომ იქ თავს კარგად გრძნობენ ქურციკიც და ორკუზიანი აქლემიც. მეორე მხრივ, აქ შესაძლოა ისეთ ცხოველებსაც წააწყდეთ, როგორებიც არიან თოვლის ლეოპარდი და მურა დათვი. სხვათა შორის, აქვე იპოვეს დინოზავრის კვერცხი და პრეისტორიული შრომის იარაღები, რომელთა ასაკიც 100 ათასი წელია.



*უდაბნო გობი*

გობის უდაბნოს მშენებას ნახევარმთვარის ფორმის ტბა წარმოადგენს. ოაზისი ჩინეთის დასავლეთ რეგიონში, ქალაქ დუნჰიანიდან 6 კმ-ზე მდებარეობს და იქ მსოფლიოს უდიდესი ბუდისტური ტაძარი დგას. ტბა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ანთროპოგენული ზეგავლენით უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ტბის ფართობი საგრძნობლად შემცირდა. ჩინეთის ხელისუფლება ტბის დონის შესანარჩუნებლად სამუშაოებს გეგმავს.



*ოაზისი გობის უდაბნოში*

დედამიწაზე ყველაზე ახალგაზრდა უდაბნო არაღყუმია, რომელიც მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა არალის ზღვის დამრობის შედეგად. ის უზბეკეთისა და ყაზახეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. არალის ზღვის დამრობა ანთროპოგენულ ეკოლოგიურ კატასტროფებს მიეკუთვნება. ის მდინარეების სირდარიისა და ამუდარიის წყლების სარწყავად გამოყებამ განაპირობა. უდაბნოს ქვიშა შეიცავს მარილს, ზღვის დეპოზიტებს, მინერალების ნაშთებს, რომლებიც არალის ზღვაში მორწყული მინდვრებიდან ჩაედინებოდა.



### *უდაბნო არალყუმი*

სალარ-დე-უიუნი სამხრეთ ბოლივიაშია. იგი ანდების დაბოლოებაზე, ზღვის დონიდან 3,656 მეტრზე მდებარეობს და მსოფლიოში ყველაზე ვრცელი მარილის უდაბნოა. ოდესღაც აქ დიდი მარილოვანი ტბა ყოფილა, მაგრამ დროთა განმავლობაში დამშრალა. წვიმის დროს უიუნი სარკესავით ლაპლაპებს. ტბა რამდენიმე მეტრი სისქის მარილის ქერქით არის დაფარული და მდიდარია ლითიუმით, რომელსაც უმთავრესად სითბოს გამტარების, ბატარეებისა და მედიკამენტების წარმოებაში იყენებენ.

სალარ-დე-უიუნის მარილის მარაგი 25 მილიარდ ტონას შეადგენს. აქედან ყოველწლიურად იწარმოება 25.000 ტონა. საკმაოდ განვითარებულია ტურიზმი. აქ ნახავთ ადგილობრივთა მიერ მარილის ბლოკებისგან ნაგებ სასტუმროებს.


უდაბნოს შუაგულში მდებარეობს მებადურის კუნძული, რომელზეც უზარმაზარი კაქტუსები ხარობს. მათი სიმაღლე 12 მ-მდე აღწევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კაქტუსი წელიწადში მხოლოდ 1 სმ-ით იზრდება, გამოდის, რომ მათი ასაკი 12000 წელია.



*უდაბნო სალარ-დე-უიუნი*

შავი კლდის უდაბნოც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნევადის შტატში, პლეისტოცენის ხანის დამწრალი მარილიანი ტბის ლაპოტანის ადგილას მდებარეობს. მისი ფართობი 2,6 ათასი კმ<sup>2</sup>-ია, სიგრძე – 110 კმ, ხოლო სიგანე – 32 კმ. ტბა ლაპოლი 12 ათასი წლის წინ არსებობდა. ამჟამად რეგიონში ერთადერთი მდინარე ქვინი მიედინება, რომლის წყალიც პერიოდულად უდაბნოს საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფარავს. შავი კლდის უდაბნოს უნიკალურობას განაპირობებს გარშემორტყმული მთები და ვულკანები, კანიონები და გეიზერები. იგი დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს.

შავი კლდის უდაბნო თაბაშირის მოპოვების ცენტრია. 1990 წლიდან აქ იმართება ყოველწლიური ფესტივალი „Burning Man“, რომელიც ათასობით ტურისტს იზიდავს.



*შავი კლდის უდაბნო*

ლენსოის მარანიანისის უდაბნო ბრაზილიაში, მარანიანის შტატში მდებარეობს. იგი, გარდა გასაოცრად თეთრი ქვიშისა, იმითაც გამოირჩევა, რომ ლაგუნებითაა სავსე. აქ შეხვდებით უამრავ ლაგუნას, რომლებიც წვიმის შედეგად წარმოიქმნება. მათი ულამაზესი ცისფერი თეთრ დიუნებთან კონტრასტს ქმნის. ლაგუნები ზაფხულში ნაწილობრივ ქრება, თუმცა ეს ხელს არ უშლის თევზებს, კუეებსა და მოლუსკებს, აქ დაიდონ ბინა. 1981 წელს შეიქმნა ლენსოის მარანიანის ეროვნულ პარკი, რომელიც დასახლებულია და ბევრ ტურისტს იზიდავს.



*უდაბნო ლენსოის მარანიანი*

ჭრელი უდაბნო, 380 კმ<sup>2</sup> ფართობის უნაყოფო ტერიტორია, აშშ-ში, ჩრდილოეთ არიზონაში. ზღვის დონიდან 1370-1980 მეტრზე მდებარეობს. იგი მოიცავს გაქვავებული ტყის ეროვნული პარკის ნაწილს. ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი 127-229 მმ-ს შეადგენს, საშუალო ტემპერატურა – 31 41 °C-ს.

უდაბნოს მიწა დიდი რაოდენობით შეიცავს რკინასა და მანგანუმს, რის გამოც სხვადასხვა ფერადაა აჭრელებული. აქედან მომდინარეობს მისი სახელიც, რომელიც უდაბნოს ესპანელმა კოლონიზატორებმა შეარქვეს. ბოლო 1 500 წელია, ამ ტერიტორიაზე სახლობს ადგილობრივი ნავახოსა და ჰოპის ხალხი.





*ჭრელი უდაბნო არიზონას შტატში*



*ჭრელი უდაბნო სამხრეთ ავსტრალიაშიცაა*

თეთრი უდაბნო დასავლეთ ეგვიპტის ოაზისის ფარაფარას ჩრდილოეთით მდებარეობს. უდაბნოს სითეთრეს განაპირობებს ცარცი, რომელსაც აქაური კლდეები შეიცავს. ეოლური ფორმები განუმეორებელ პეიზაჟს ქმნის.



### *თეთრი უდაბნო*

აი, ასეთი მრავალფეროვანი და განუმეორებელია უდაბნოების ლანდშაფტი. მათი ნაწილი დაცულ ტერიტორიებს წარმოადგენს.

გამოყენებული ინტერნეტსაიტები:

<https://en.wikipedia.org/wiki/Desert;>

<http://www.geography.tsu.ge/index.php?id=219&lang=geo>